ჩემპიონატი

“დინამოსა” და “ლოკომოტივის” მატჩი

25 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ **თბილისის ”დინამოსა” და “ლოკომოტივის”** სანიმუშო გუნდები.

ტაიმის პირველსავე წუთებიდან ბრძოლა მწვავე ხასიათს ღებულობს. ბურთი მეტწილად ლოკომოტიველთა საჯარიმო მოედანზეა. “დინამოს” თავდამსხმელთა სწრაფ, ზუსტ და ადგილების გადანაცვლებით კომბინაციურ თამაშს მაყურებლები აღტაცებაში მოჰყავს.

მე–4 წუთზე ბერძენიშვილისაგან მიღებული ბურთით პაიჭაძე უსხლტება მარჯვენა ფრთიდან ჯოჯუას და მოხერხებულად აწვდის შერჩეულ ადგილზე მდგომ ჯეჯელავას. ზუსტი დარტყმა და პირველი ბურთი ხვდება ლოკომოტიველთა კარის ბადეს.

ინიციატივა კვლავ დინამოელთა ხელშია. ისინი მთელი ტაიმის განმავლობაში არ მოშორებიან მოწინააღმდეგეთა კარს და დამსახურებულ შედეგსაც აღწევენ –30-ე, 37-ე და 42-ე წუთზე პანიუკოვს, პაიჭაძეს და ჯეჯელავას დამატებით გააქვთ 3 ბურთი.

შეჯიბრების პირველი ნახევარი მთავრდება “დინამოს” სასარგებლოდ, ანგარიშით – 4:0.

მეორე ტაიმში ლოკომოტიველებმა მოთამაშეთა გადახალისებით გამოაცოცხლეს თამაში და შესძლეს 3 ბურთის გატანა. ხოლო დინამოელებმა, რომლებიც მეორე ტაიმში შედარებით სუსტად იბრძოდნენ, გაიტანეს მხოლოდ 2 ბურთი.

მატჩი მოიგო “დინამომ”, ანგარიშით – 6:3.

ვ. გ–ლია.
„ახალგაზრდა კომუნისტი“, 27 აგვისტო, 1940 წ.